

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

სამოგზაურო გრანტების კონკურსი (ივნისი 2015)

პირველი ნაკადი

ხშირად დასმული კითხვები

1. ტრანსპორტირების ბილეთის ფასი, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტით (ჯავშანი/ინვოისი) ერთი უნდა იყოს დაფიქსირებული, თუ რამდენიმე?

ტრანსპორტირების (მხოლოდ ეკონომკლასის ბილეთი) ორმხრივი მგზავრობის ხარჯების მიხედვით უნდა იყოს დაფიქსირებული მხოლოდ ერთი. რეკომენდაციაა წარმოადგინოთ შემდეგებისდაგვარად ნაკლებფასიანი ბილეთი.

2. ინვოისის წარმოდგენა ავიაბილეთებზე აუცილებელია, თუ არა?

ინვოისის ატვირთვა ბაზაში აუცილებელია, მხოლოდ ელექტრონული ჯავშანი არ არის საკმარისი.

3. მოწვევა საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციიდან რა ფორმის უნდა იყოს?

საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების პროგრამაში განმცხადებლის მოხსენების მიღების/ჩასმის და მიწვევის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი უნდა იყოს სატიტულო ფურცელზე, ხელმოწერილი და შემდგომ ნათარგმნი ქართულ ენაზე და დამოწმებული თარჯიმნის/თარჯიმანთა ბიუროს ბეჭდით-დასკანირებული pdf ფორმატში.

4. როგორ ითვლება დღიური/სადღელამისო ხარჯები? და აპლიკანტმა თვითონ უნდა ჩაწეროს თუ არა ბაზაში?

სადღელამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების/სასტუმროს ხარჯების შედგენისას უნდა იხელმძღვანელოთ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის # 231 ბრძანებულებით „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“. ამ ხარჯვით კატეგორიას აპლიკანტი ავსებს დამოუკიდებლად ბიუჯეტის გრაფაში.

5. იმ შემთხვევაში თუ საკონფერენციო სარეგისტრაციო თანხა და სასტუმროს ღირებულება არის ერთ მთლიან პაკეტში, როგორ მოხდება ამის ანაზღაურება?

ამ შემთხვევაში მოწვევაში აუცილებელია ხარჯვითი კატეგორიების დიფერენცირება. მომწვევ მხარეს სთხოვეთ, გამოგიგზავნოთ დოკუმენტი, სადაც მკაფიოდ იქნება გამიჯნული ხარჯვითი კატეგორიები.

6. ანაზღაურდება თუ არა, ვიზის მოსაკრებელი?

დიახ, ანაზღაურდება კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში. საჭირო იქნება შესაბამისი თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენა (გადახდის ქვითარი შემდეგი რეკვიზიტებით: სახელი, გვარი, თარიღი, თანხა, დანიშნულება).

7. გამოცემების შემთხვევაში მოთხოვნილია სატიტულო, პირველი და ბოლო გვერდი, არის შემთხვევები, როდესაც გამოცემის თარიღი და მაგ. ISBN, საავტორო უფლება და სხვ. მონაცემები არის არა სატიტულოზე, არამედ შემდეგ გვერდზე, საჭიროა თუ არა ამ გვერდის დამატება?

დიახ სავალდებულოა.

8. ღონისძიების წინა, ან შემდგომი სემინარების ხანგრძლივობა რამდენი დღე შეიძლება იყოს? უნდა ეტეოდეს 7-8 დღეში მთლიანად?

სამოგზაურო გრანტი გაიცემა საერთაშორისო სამეცნიერო ან რეგიონულ ღონისძიებაზე ფაქტობრივად ყოფნის დღეების მიხედვით (სამეცნიერო ღონისძიების ჩატარების თარიღი მითითებული უნდა იყოს

ოფიციალურ წყაროში/მოწვევაში), ასევე გამგზავრებისა და დაბრუნების დღეების ჩათვლით, არაუმეტეს 7 ღამისა და 8 დღისა;

9. თუ ბილეთის ფასი არ იცვლება და ღონისძიების დასრულებიდან რამოდენიმე დღე თავისი ხარჯით რჩება, მაშინ ამის გამო ხომ არ დაბლოკავს კომისია?

ამის გამო კომისია არ დაბლოკავს. ღონისძიების დასრულების შემდეგ გრანტის მიმღებს შეუძლია გარკვეული პერიოდით დარჩეს ღონისძიების ადგილზე. დამატებითი დღეების ხარჯი ფონდის მიერ ღონისძიების დასრულების შემდგომ არ ანაზღაურდება.

10. ჩაითვლება თანადაფინანსებად თუ მაღალ ღირებულ სასტუმროში გაჩერდა ნორმაზე დამატებითი თანხა დღიურ სასტუმროს გადასახადში თანადაფინანსებად?

არ ჩაითვლება.

11. შეიძლება ბაზაში მუშაობის დროს ფონდის პროგრამისტთან და კოორდინატორთან პარალელურ რეჟიმში შეესება?

არა, თუ არის ბაზაში ხარვეზი, გთხოვთ, დააფიქსიროთ და მიწეროთ ელექტრონული ფოსტით, ან დარეკოთ.

12. რა კვოტები არის მიმართულებების მიხედვით?

კვოტები მიმართულებების მიხედვით არ არის. შეიქმნება რანჟირებული სია კრიტერიუმების მიხედვით დაგროვილი ქულების შესაბამისად.

13. თუ არის პროგრამა ჩინურ, იაპონურ, ან სხვა უცხოურ ენებზე აუცილებელია, თუ არა ქართულ ენაზე თარგმნა? თუ საკმარისია ინგლისურად პროგრამის წარმოდგენა?

ღონისძიების პროგრამა თარგმნას არ საჭიროებს ქართულ ენაზე. საკმარისია ინგლისურად წარმოდგენა. როგორც წესი, ღონისძიების ვებ-გვერდზე არის შესაბამისი ინფორმაცია ხელმისაწვდომი ინგლისურ ენაზე.

14. რამდენი მეცნიერი დაფინანსდა 2014 წლის მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო საგრანტების კონკურსის ფარგლებში?

ჯამში დაფინანსდა 142 მეცნიერი.

15. როგორ ხდება სარეგისტრაციო გადასახადის ანაზღაურება.

თუ ღონისძიების სარეგისტრაციო გადასახადი გადახდილია ფონდის მიერ კონკურსის გამოცხადების შემდეგ, ამ შემთხვევაში ეს ხარჯი ანაზღაურდება კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში.

16. რომელ საკონკურსო ნაკადში უნდა მიიღოს აპლიკანტმა მონაწილეობა?

ყურადღება მიაქციეთ კონფერენციის ოფიციალურად გახნის დღეს. მაგ: თუ კონფერენცია ოფიციალურად იხსნება 30 ივლისს, ე.ი აპლიკანტმა პროექტი უნდა წარმოადგინოს 16 ივნისამდე, პირველ ნაკადში, რომელიც მოიცავს შემდეგ პერიოდს 1/07/2015-31/10/2015.

ხოლო, თუ ღონისძიება იწყება ოქტომბრის ბოლოს და გადადის ნოემბრის პირველ რიცხვებში, განაცხადი უნდა წარმოადგინოთ მეორე ნაკადში, 8 სექტემბრამდე, რომელიც მოიცავს შემდეგ პერიოდს 1/10/2015-31/01/2016.

17. ბიუჯეტში მოთხოვნილი თანხა იწერება მხოლოდ თუ მთლიანი თანხა?

ბიუჯეტის ფორმაში იწერება ორივე თანხა: მოთხოვნილი თანხა ფონდიდან და ასევე დაფინანსების სხვა წყაროებიც (თანადაფინანსება).

19. შესაძლებელია თუ არა თანაავტორობით შესრულებული ნაშრომის წარმოდგენა?

დიახ შესაძლებელია. ოღონდ კონკურსში მონაწილე აპლიკანტის ვინაობას წყვეტს ავტორთა ჯგუფი. სამეცნიერო ნაშრომის წარდგენა შესაძლებელია თანაავტორობის მიერ არაუმეტეს ორ სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. ერთ ღონისძიებაზე ერთიდაიგივე ნაშრომის წარდგენა ორივე თანაავტორის მიერ არ დაფინანსდება.

20. რამდენი ქულით ფასდება საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის/კონგრესის/სიმპოზიუმის მასალები (ნაშრომი 10 გვერდამდე) და არა საერთაშორისო საკონფერენციო აბსტრაქტი?

ყურადღება მიაქციეთ შეფასების კრიტერიუმებს. 1 ქულით.

გთხოვთ, იხილოთ შესაბამისი მთავრობის დადგენილებაში მითითებული შეფასების კრიტერიუმები, პუნქტი # 5 „განმცხადებლის სამეცნიერო ნაშრომები“, სადაც დეტალურად არის გაწერილი, რა ტიპის ნაშრომს რომელი ქულა ენიჭება. დაჯამდება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოცემული, განმცხადებლის მიერ მითითებული 3 ნაშრომის ქულა.

21. ითვლება თუ არა შეფასებისას საერთაშორისო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში FP7-ში მონაწილეობა?

დიახ ითვლება. ყურადღება მიაქციეთ შეფასების კრიტერიუმებს, პუნქტი # 6 „მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში“, სადაც დეტალურად არის გაწერილი, ქულები. დაჯამდება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განმცხადებლის მიერ მითითებული 3 პროექტის შესაბამისი ქულა.

22. თუ მონაწილეობის სარეგისტრაციო გადასახადი, ბილეთის თანხა უკვე გადახდილია წინასწარ თანადამფინანსებლის/პირადად განმცხადებლის მიერ, სავალდებულოა თუ არა მისი ასახვა ბიუჯეტში?

დიახ, სავალდებულოა. გთხოვთ მიუთითოთ თანადამფინანსებლის ველში.

23. ანაზღაურდება თუ არა აეროპორტიდან გამგზავრება საკონფერენციო ქალაქამდე და როგორ უნდა აისახოს ეს ბაზაში?

დანიშნულების ქალაქამდე ტრანსპორტირება, ანუ ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში გადასვლა (მაგ. რკინიგზით, ავტობუსით) ანაზღაურდება, ოღონდ საჭიროა შესაბამისი დოკუმენტის/ინვოისის წარმოდგენა. შესაბამისად, ტრანსპორტირების ჯავშანი/ინვოისის დასკანირებული pdf ფაილი უნდა ატვირთოთ ავიაბილეთების (ან, შესაბამისად, სხვა სატრანსპორტო საშუალებების) ჯავშანი/ინვოისის დასკანირებულ pdf ფაილებთან ერთად.

24. პუბლიკაციები უნდა ითარგმნოს თუ არა?

პუბლიკაციები არ უნდა ითარგმნოს.

26. მე გახლავართ თსუ დოქტორანტი და ვაპირებ ინდივიდუალურ სამოგზაურო გრანტზე საბუთების შემოტანას. ამასთან დაკავშირებით ერთი კითხვა მექნება: ვირიცხები თსუ სადოქტორო პროგრამაში, თუმცა ამჟამად ვიმყოფები გერმანიაში კვლევითი სტიპენდიით და ამიტომ დოქტორანტის სტატუსი დროებით მაქვს შეჩერებული. ცნობა რომელიც შემიძლია წარვადგინო როგორც დოქტორანტმა მოიცავს ინფორმაციას სადოქტორო პროგრამაში ჩემ ჩარიცხვაზე და სტატუსის შეჩერებაზეც. რა თქმა უნდა შემიძლია წარვადგინო არსებული სტიპენდიის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. რა შეიძლება კიდევ გაკეთდეს ამ შემთხვევაში?

ეს საბუთები საკმარისია

27. მოგესალმებით. ვაპირებ საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებას, რომელთაგან ერთი იმართება ოქტომბერში მოლდავეთში ქ. კიშინიოვში, ხოლო მეორე სტამბულში დეკემბრის ბოლოს. თუ მაქვს უფლება რომ ორივე კონფერენციისათვის გავაკეთო განაცხადი, თუ მხოლოდ ერთის მოთხოვნის უფლება მაქვს?

ერთსა და იმავე საკონკურსო ნაკადში შესაძლებელია, მხოლოდ ერთ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება.

28. მე, ტილზურგის (ნიდერლანდების) უნივერსიტეტის დოქტორანტი და საქართველოს მოქალაქე, შემიძლია მივიღო ამ კონკურსში მონაწილეობა?

(2) დასაშვებია თუ არა რომ მოვითხოვო ჰოლანდიიდან საქართველოში მგზავრობის თანხები რათა მონაწილეობა მივიღო [TbiLLC](#) (თბილისი) საერთაშორისო კონფერენციაში, სადაც მე ვაკეთებ ზეპირ მოხსენებას?

იხილეთ საგრანტო კონკურსის პროგრამა და პირობების მუხლი 1. პუნქტი 2.-ი. „სამოგზაურო გრანტების საშუალებით ქართველ მეცნიერებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ საზღვარგარეთ დაგეგმილ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში“.

ჩვენი დებულების თანახმად თქვენ ვერ შეძლებთ საქართველოში დაგეგმილ საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებას.

29. რამდენად შესაძლებელია ინდივიდუალურ სამოგზაურო გრანტებში თანადაფინანსების სახით გამოყენებული იქნას "ფუნდამენტური სამეცნიერო საგრანტო პროექტების" ფარგლებში გათვალისწინებული უცხოეთში მივლინების თანხები?

დიახ შესაძლებელია.